### 5. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის.

5. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის, ან არაჯეროვნად შესრულების შედეგად მიყენებული ზარალისათვის, მხარეები ერთმანეთის წინაშე პასუხს აგებენ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის და წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შესაბამისად.

5.1 თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნაკისრ ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა.

### 6.ხელშეკრულების მოქმედების ვადა

6. მომსახურების გაწევის ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელისმოწერის დღიდან და მოქმედებს 2018 წლის 31 დეკემბრამდე;

6.1 თუ ვადის ამოწურვამდე 2 კვირით ადრე რომელიმე მხარე წერილობით არ გამოთქვამს ხელშეკრულების მოშლის სურვილს, მომსახურება ავტომატურად გაგრძელდება 1 წლით.

### 7. ფორს - მაჟორი

7.1 მხარეები არარიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულების სრულ ან ნაწილობრივ, შესრულებაზე, თუ ესშეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა ხანძარი, წყალდიდობა, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადაგა დაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების დადგომამდე.

7.2 თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა სამ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.

7.3 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები დავას წყვეტენ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

### 8.ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

8.1 არავითარი გადახრა, ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება მხარეთა წერილობითი შეთანხმების გარეშე.

8.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია, წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს, შესაბამისი ინფორმაცია. წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერიდან არა უგვიანეს 10 დღისა.

8.3 დაუშვებელია ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან „შემსყიდველის" პირობების გაუარესება. გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

8.4 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

### 9. სხვა პირობები

9.1 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

9.2 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლიარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან.

### 10. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

| შემსყიდველი: | მიმწოდებელი |
|---|---|
| ნინოწმინდის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ცენტრი | შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია" |
| ნინოწმინდა თავისუფლების ქ. N 48 | მისამართი: ქ.თბილისი, ვაჟა ფშაველას 76ბ |
| ს/კ 236689865 | ს/კ: 412670097 |
| საბანკო რეკვიზიტები: | საბანკო რეკვიზიტები: |
| სახელმწიფო ხაზინა | ს.ს „ლიბერთი ბანკი" ცენტრალური ფილიალი |
| ბანკის კოდი: | ბანკის კოდი: 220101480 |
| ა/ა სახაზინო კოდი: 010106 | ა/ა GE77LB0113123325230012 |
| დირექტორი: ციური ეკიზაშ ------------------- | დირექტორი : გიორგი კობერიძის მინდობილი პირი: ს/ჯ რეგიონული ფილიალის მენეჯერი: ბესარიონ ფილაური ------------------- |